ირმა მალაციძე

# ქოლგა

**კლასი IV**
**კითხვის დონე – 4.1**
**ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)**

მხატვარი – **ზურა სულაკაური**

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მადლობას უხდის ლელა ქისტაურს, რეზო გოგიას და ნუგზარ არჩემაშვილს, რომლებმაც პაატა პაპავას ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ მედეა კაკაჩიას (USAID) გაწეულიდახმარ ებისთვის.

წიგნი მომზადდა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ თანამშრომლობით.

ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

SAKPATENTI NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

# I თავი

ეს ამბავი ერთ ქვეყანაში მოხდა. იქ ბევრი მეცნიერი, მხატვარი, მწერალი, მუსიკოსი და გამომგონებელი ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ ერქვა ამ ქვეყანას ინტელექტიანა.

ინტელექტიანაში იყო ერთი პატარა აგურის სახლი, რომელსაც ულამაზესი ეზო ჰქონდა. ეზოში ფერად-ფერადი ყვავილები ხარობდა. სახლში ცხოვრობდა პატარა გოგონა, სახელად ცისია. ცისიას ძალიან უყვარდა ყვავილები. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ეზოში ტრიალებდა. თუ მზე ანათებდა, ყვავილებს რწყავდა. მართალია, წვიმაში ყვავილებს მორწყვა არ სჭირდებათ, მაგრამ გოგონა მაინც არ ტოვებდა მათ უყურადღებოდ. ეზოში გადიოდა და ყვავილებს უვლიდა.

ცისიას მეზობლად ერთი სამკუთხა სახლი იდგა. სახლში მოხუცი გამომ-გონებელი, ბატონი კირკიტა, ცხოვრობდა. ბატონი კირკიტა გარეთ თითქმის არ გამოდიოდა. ფანჯრიდანაც კი იშვიათად თუ გამოიხედავდა. მთელ დღეებს სამკუთხა სახლის სახელოსნოში ატარებდა და სულ თავის უცნაურ ხელსაწყოებს უკირკიტებდა.

ერთხელ წვიმიან ამინდში კირკიტამ ფანჯრიდან გაიხედა და ცისია დაინახა. წვიმდა, გოგონა კი ეზოში ყვავილებს დასტრიალებდა და ილუმპებოდა.

კირკიტამ გაიფიქრა: „გამაგიჟებს ეს ბავშვი! გარეთ წვიმს, ის კი, ვითომც არაფერი, ყვავილებს უვლის.“

გამომგონებელმა ფანჯარა დახურა და თავის უცნაურ ხელსაწყოებს მიუბრუნდა. უცებ შეჩერდა, ისევ ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადასწია. წვიმდა. ცისია კვლავ ყვავილებს დასტრიალებდა. კირკიტამ შუბლი მოისრისა და ხმამაღლა თქვა:

– რამე უნდა მოვუფიქრო ამ ბავშვს, თორემ რამდენჯერაც იწვიმებს, სულ ასე გაილუმპება.

გამომგონებელი თავის მწვანე სავარ-ძელში ჩაჯდა და თვალები დახუჭა. ცოტა ხანში სახე გაუბრწყინდა, წამოხტა და საქმეს შეუდგა. აიღო ბამბუკის ჯოხი. მასზე არყის ხის ტოტები სხივებივით დაამაგრა. ზემოდან გადააკრა ქსოვილი, რომელიც გემის ძველი აფრისგან გამოჭრა. მშვენიერი ნივთი გამოვიდა. კირკიტამ თავისი გამოგონება აიღო, თავს ზემოთ დაიჭირა და გარეთ გავიდა. ჯერ კიდევ წვიმდა, მას კი ერთი წვეთიც არ დასცემია. ალბათ მიხვდი, რა გამოიგონა – ქოლგა, რომელიც მანამდე არ არსებობდა.

ცისია ისევ ეზოში იყო და ვარდის ბუჩქს გამხმარ ფოთლებს აცლიდა. კირკიტა გოგონას მიუახლოვდა და ქოლგა გაუწოდა.

– ეს რა არის? – გაოცდა ცისია.

– ეს, ეს ქოლგაა! შენთვის გავაკეთე. წვიმისგან დაგიცავს.

გოგონამ ქოლგა გამოართვა და შეათვალიერა.



— ძალიან ლამაზია! დიდი მადლობა!

ცისიამ ქოლგა დაიჭირა და ცეკვა დაიწყო. ისევ წვიმდა, თუმცა წვიმის წვეთები გოგონას აღარ ასველებდა.

ამ დღის შემდეგ ცისია ხშირად სეირნობდა ქოლგით. ქალაქში ყველა მას უყურებდა. აინტერესებდათ, რა იყო ეს უცნაური ნივთი. მალე მთელმა ქალაქმა გაიგო, რომ კირკიტამ ქოლგა გამოიგონა.



## II თავი

ამ ქვეყნის მეზობლად ერთი ქვეყანა იყო. მას სამართლიანა ერქვა. სამართლიანაში ორი მეგობარი ცხოვრობდა – პატიტო და კოპიტო. მათი სახლი ქალაქის გარეუბანში იდგა. შენობა აგურისა იყო. მას ორი კიბე, ორი კარი, ორი აივანი, ოთხი ფანჯარა და ერთი სახურავი ჰქონდა. ერთ მხარეს კოპიტო ცხოვრობდა, მეორე მხარეს – პატიტო. მეგობრები ყოველ დილით მიდიოდნენ სამსახურში, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში იყო. როცა რომელიმე გამომგონებელი რამეს გამოიგონებდა, კოპიტოს და პატიტოს სწერდა წერილს. ისინი ზრუნავდნენ, რომ გამოგონება სხვას არ მიეთვისებინა.

მახლობლად კიდევ ერთი ქვეყანა იყო. მას მეკობრიანას ეძახდნენ. მეკობრიანას ბოროტი ხელმწიფე ნაოჭა მართავდა. ნაოჭა ყოფილი მეკობრე იყო. რომ მოხუცდა, მეკობრიანაში დასახლდა თავის მეგობრებთან, სხვა მეკობრეებთან ერთად.

ნაოჭა ვერ მიეჩვია წესიერ ცხოვრებას. ყველას რაღაცას ართმევდა და ითვისებდა.

ქოლგის შესახებ ნაოჭამაც შეიტყო. მაშინვე თავის ოსტატებს უბრძანა, ზუსტად ასეთი ნივთი დამიმზადეთო. ოსტატებმა არ იცოდნენ, როგორ გაეკეთებინათ ქოლგა. ამიტომ ინტელექტიანაში ჩავიდნენ და ცისიას სახლის მისამართი დაადგინეს. მერე წვიმიან ამინდს დაელოდნენ. როგორც კი გაწვიმდა, ცისიას სახლთან მივიდნენ. შორიახლოს ჩასაფრდნენ. სულ მალე სახლის კარი გაიღო და გოგონა ქოლგით გამოვიდა სასეირნოდ. ნაოჭას მსახურები ქოლგას კარგად დააკვირდნენ. ჩუმად რაღაც ჩაინიშნეს: ერთი ხატავდა, მეორე წერდა და უკან დაბრუნდნენ. მალე ნაოჭას საკუთარი ქოლგა ჰქონდა.

მეფე ახალი აქსესუარით ყველგან და ყველასთან თავს იწონებდა.

ამ ამბავმა პატიტოს და კოპიტოს ყურამდეც მიაღწია. ისინი სწრაფად გაემგზავრნენ მეკობრიანაში. ხელმწიფე ნაოჭასთან მივიდნენ და უთხრეს:

— ქოლგა სხვისი გამოგონებაა, სხვას აქვს დაპატენტებული.

— ეგ რას ნიშნავს? — ვერ გაიგო ნაოჭამ.

— პატენტი არის სპეციალური საბუთი. პატენტის მფლობელის გარეშე არავის აქვს უფლება, სხვისი გამოგონება დაამზადოს.

— აბა, რა ვქნა? ძალიან მომწონს ეს ნივთი! მინდა, რომ მეც მქონდეს.

— თუ გსურთ, ქოლგა გქონდეთ, ამ ნივთზე პატენტის გამოყენების უფლება უნდა მოიპოვოთ.

ნაოჭას არ ესიამოვნა ეს ამბავი. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, პატენტის გამოყენების უფლება მოიპოვა. მერე თავის ოსტატებს უბრძანა, იმდენი ქოლგა დაემზადებინათ, მთელ სამეფოს რომ ეყოფოდა.

მალე ქოლგა ძალიან პოპულარული ნივთი გახდა. რაც მთავარია, ყველამ იცოდა, რომ ის სწორედ ინტელექტიანაში მცხოვრებმა გამომგონებელმა კირკიტამ შექმნა და დააპატენტა.